დაიჯესტი

19 -25 ივლისი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

ჰენრი ტარიომ, ექსტრემისტული დაჯგუფების "ამაყი ბიჭების"(Proud Boys) ლიდერმა, ორშაბათს აღიარა დანაშაული "Black Lives Matter"-ის ბანერის დაწვაში. აღნიშნული ბანერი ექსტრემისტული მემარჯვენეების მხარდამჭერებმა 12 დეკემბერს მოიპარეს ვაშინგტონში მდებარე აფრო-ამერიკული ისტორიულ ეკლესიიდან.

პირველი პირი, ვინც დანაშაული აღიარა კაპიტოლიუმის შტურმში 6 იანვარს, საარჩევნო კოლეგიის ხმის უფლების შეჩერების მიზნით, ორშაბათს მიესაჯა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მეოთხე პირმა, რომელიც Oath Keepers-ის ჯგუფთან იყო დაკავშირებული, სამშაბათს აღიარა დანაშაული ორ სისხლის სამართლის ბრალდებაში, რომელიც ეხებოდა დონალდ ტრამპის მომხრეების მიერ 6 იანვარს აშშ-ს კაპიტოლიუმის თავდასხმას. 535-ზე მეტ ადამიანს ბრალი ედება ძალადობაში მონაწილეობისთვის, როდესაც ტრამპის მომხრეები შეიჭრნენ კაპიტოლიუმში.

აშშ-ის სპეციალური სამსახურები იუწყებიან, რომ 6 იანვარს კონგრესის შენობაში შეჭრის შემდეგ, აშშ-ში გაჩნდა ტენდენცია Ad Hoc ექსტრემისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა. მათი თქმით, ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ აჯანყებაში სხვების რადიკალიზებასაც ცდილობენ.

კალიფორნიელი კაცი, რომელმაც ორი წლის წინ ცეცხლი გახსნა სინაგოგაში, მოკლა ერთი ადამიანი და დაჭრა სხვა ადამიანები ანტი-ებრაული თავდასხმის დროს, სიცოცხლის ბოლომდე გაატარებს ციხეში. ჯონ თ. ერნესტმა, ახლა 22 წლის ასაკში, დანაშაული აღიარა.

დიდი ბრიტანეთი

ლონდონის პოლიციის უფროსმა გაფრთხილება გაავრცელა ტერორისტული თავდასხმების რისკის გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნული გაფრთხილება განპირობებულია ბრიტანეთში კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვების შემცირებასთან. განცხადებაში ნათქვამია, რომ 800-ზე მეტ საქმეს განიხილავენ, სადაც აშკარაა

ექსტრემისტული ტერორიზმის საფრთხის ზრდა. 2017 წლის შემდეგ, თავიდან აიცილეს 29 მომაკვდინებელი თავდასხმა, რომელთაგან 18 ისლამისტურ ტერორიზმთან, ხოლო 10 მემარჯვენე ექსტრემისტემიზმთან იყო დაკავშირებული.

ნეო-ნაცისტ ანდრიუს დაიმოკის, რომელიც რადიკალურად მემარჯვენე ვებ-გვერდსა და ტვიტერის ანგარიშს ფლობდა, ასევე მიღებული ჰქონდა მონაწილეობა 2 ექსტრემისტული ორგანიზაციის შექმნაში, სასამართლომ მას პატიმრობა მიუსაჯა.

ავსტრალია

სიდნეის სამხრეთით, პიქტონში ჩატარებული ოპერაციის დროს პოლიციამ დააპატიმრა თავდაცვის ძალების ყოფილი წევრი და ამოიღო ქიმიკატები, რომელთა საშუალებითაც ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოებაა შესაძლებელი. გამომძიებლები იკვლევენ 54 წლის დამნაშავის მიზნებს, სურდა თუ არა ამოღებული ნივთიერებების გამოყენებით ტერორისტული აქტების დაგეგმვა.

კანადა

კანადაში მემარჯვენე ექსტრემისტების ონლაინ აქტივობა გასულ წელს გაიზარდა პანდემიის დროს, მიუხედავად ახალი მთავრობისა და სოციალური მედიის კომპანიების მცდელობებისა, აღკვეთონ ექსტრემიზმი და სიძულვილის ენა. მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ კანადაში მემარჯვენე ექსტრემისტებზე გავლენას ახდენს მათი მეტად მოძალადე კოლეგები აშშ – ში.

ნორვეგია

22 ივლისს ნორვეგიაში ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტერაქტიდან 10 წელი გავიდა. 2011 წლის 22 ივლის ნეო-ნაცისტმა ანდრეს ბრეივიკმა 2 ადგილზე განხორციელებული ტერაქტის შედეგად ათეულობით ადამიანი შეიწირა.

საფრანგეთი

საფრანგეთის არმიის წარმომადგენლის განცხადებით, მათ მალიში 2 ტერორისტი გაანეიტრალეს. მათი თქმის ისინი EIGS-ის ტერორისტული დაჯგუფების წევრები იყვნენ. ამ ორგანიზაციას აქვს კავშირები დაეშთან.

ავღანეთი

თხუთმეტმა დიპლომატიურმა მისიამ და NATO-ს წარმომადგენელმა ავღანეთში მოუწოდეს თალიბებს შეაჩერონ სამხედრო შეტევები. განცხადება მას შემდეგ გავრცელდა რაც აჯანყებულები და ავღანეთის მთავრობა დოჰაში გამართულ მოლაპარაკებებზე ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ. შაბათ-კვირის განმავლობაში კატარის დედაქალაქში ავღანეთის ლიდერების დელეგაცია შეხვდა თალიბების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. კვირას გვიან ღამით გაკეთებულ განცხადებაში, თალიბანმა უარი თქვა ავღანეთში ძალადობის ესკალაციის შეწყვეტაზე.

მინიმუმ სამი რაკეტა დაეშვა ავღანეთის დედაქალაქში სამშაბათს, პრეზიდენტ აშრაფ ღანის სიტყვით გამოსვლამდე, რომელიც მუსლიმური დღესასწაულის დაწყებას უკავშირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის დაუყოვნებლივი მოთხოვნა არ ყოფილა, ეს იყო პირველი სარაკეტო შეტევა ქაბულზე მას შემდეგ, რაც თალიბებმა დაიწყეს მთელი რიგი შეტევები, რაც ემთხვევა საერთაშორისო ჯარების საბოლოო გაყვანას ავღანეთიდან.

მინიმუმ სამი რაკეტა დაეცა საპრეზიდენტო სასახლის მახლობლად სამშაბათს ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ავრანეთის პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდოდა მუსლიმთა დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. რაკეტები კი გამაგრებული სასახლის გარეთ დაეცა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობას თალიბანი იღებს.

38 წლის ფოტოგრაფი, დენიშ სიდიკი, რომელიც როიტერის საინფორმაციო სააგენტოში მუშაობდა მოკლეს სამხრეთ ავღანეთში, როდესაც ის ავღანეთის უსაფრთხოების ჯარებსა და თალიბანის შორის დაპირისპირებას აშუქებდა. იგი ცნობილია თავისი პროფესიული საქმიანობით, რომელიც მოიცავს ბანგლადეშში ლტოლვილთა კრიზისის გაშუქებას,

რომლისთვისაც მან და მისმა კოლეგებმა 2018 წელს ჟურნალისტიკის მთავარი პრიზი მოიპოვეს.

აშშ-ის სამხედრო მაღალჩინოსანმა - გენერლმა მარკ მილეიმ განაცხადა, რომ ავღანეთში თალიბანმა სრული კონტროლის აღება შესაძლოა მოახერხოს. მან ასევე დასძინა, რომ შესაძლებელია მრავალი სხვა სცენარიც და საბოლოო შედეგი ჯერ მკაფიო არაა.

ავღანეთიდან აშშ-ის მიერ ძალების გამოყვანით შექმნილ შესაძლებლობას უკვე იყენებს ირანი, რომელმაც ავღანეთში შიიტური სამხედრო დაჯგუფება - ჰაშდ ალ-ში'ა დაარსა. ავღანეთის ოფიციალური პირები უარყოფენ მსგავსი დაჯგუფების არსებობას.

მიუხედავად აშშ-ის ჯარების მიერ ავღანეთის დატოვებისა, ისინი მაინც განაგრძობენ თალიბანის პოზიციებზე საჰაერო თავდასხმებს.

ერაყი

სუიციდურმა ტერორისტმა აფეთქების შედეგად იმსხვერპლა სულ მცირე 35 ადამიანის სიცოცხლე, ხოლო დაშავდა 60-ზე მეტი ადამიანი. შემთხვევას ადგილი ჰქონდა ერაყში, ბაღდადთან ახლოს მდებარე ქალაქში. მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეშმა აიღო.

ერაყის პრემიერ მინისტრმა მუსტაფა ხადიმიმ სამსახურიდან გაათავისუფლა თავდაცვის ოფიცრები, მას შემდეგ, რაც ორშაბათს ღამით აფეთქების შედეგად 34 ადამიანი დაიღუპა და 50-ზე მეტი დაიჭრა. დაეშმა აიღო პასუხისმგებლობა თავდასხმაზე, რომელიც ერაყის უსაფრთხოების ოფიციალური პირების თქმით, ჩაიდინა ტერორისტმა, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა.

ერაყისა და აშშ ოფიციალური პირები სპეციალური განცხადების გამოქვეყნებას აპირებენ. განცხადების მიხედვით აშშ-ს საბრძოლო დანაყოფებმა ერაყი უახლოეს პერიოდში უნდა დატოვონ, თუმცა განცხადებაშივე იქნება ნათქვამი, რომ აშშ-ს სამხედროების ყოფნა აუცილებელია ერაყისთვის ტრენინგების, დაზვერვის და სხვა ტიპის მხარდაჭერის აღმჩენის მიზნით. ამ განცხადების მიზანი ახლანდელი ხელისუფლებისთვის პოპულარობის ზრდა და მათზე შიიტური პარტიის ზეწოლის შემსუბუქება უნდა იყოს.

ორშაბათს განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ შეშფოთება გამოთქვა გაეროს უშიშროების საბჭომ. მათ ბაღდადის ერთ-ერთ ბაზრობაზე თავდასხმას „მშიშრული ტერორისტული თავდასხმა“ უწოდეს. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სახელმწიფომ ვალდებლებაა.

ლიბანი

ისრაელის არმიამ სამშაბათს ადრე გაისროლა რამდენიმე საარტილერიო ცეცხლი სამხრეთ ლიბანში, მეზობელი ქვეყნის ბოევიკების მიერ ისრაელში გასროლილ რაკეტებზე მოკლე რეაგირებით. შეტაკების დროს არც ერთი მხარე არ დაშავებულა, რადგან ჭურვები მეტწილად დაეცა ღია ადგილებში. ლიბანიდან ერთი რაკეტა ჩაჭრა რკინის გუმბათის ისრაელის სარაკეტო თავდაცვის სისტემამ, ხოლო მეორე დაეცა დაზიანების გარეშე.

პაკისტანი

ჩინეთის მთავრობისა და პაკისტანის ოფიციალური გამოძიების წარმომადგენლებმა პაკისტანში, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან მომხდარი აფეთქება, რომელსაც ცხრა ჩინელი მუშა და კიდევ ოთხი ადამიანი ემსხვერპლა ტერორისტულ თავდასხმად გამოაცხადეს.

მალი

შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს სამი ჩინეთის მოქალაქე და ორი მავრიტანიელი მუშა მალის ჩრდილოეთით მდებარე სამშენებლო ობიექტიდან. მძევლები მუშაობდნენ ჩინურ სამშენებლო ფირმა Covec-სა და მავრიტანიის გზის მშენებლობის კომპანია ATTM-ში. თავდამსხმელებმა ასევე მოიპარეს ხუთი მანქანა და ცეცხლი გაუჩინეს ობიექტს, რამაც გაანადგურა ამწე, ნაგავსაყრელი და სხვა აღჭურვილობა.

მიანმარი

მიანმარის სახელმწიფო ელექტრომომარაგების ოფისში აფეთქდა ხელნაკეთი ბომბი, დაშავდა მინიმუმ შვიდი ადამიანი.

კოსოვო

კოსოვოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჟელალ სფეკლამ გამოაცხადა, რომ თავისი 11 მოქალაქე დააბრუნა სირიის ბანაკებიდან, სადაც დაეშის დაჯგუფების მებრძოლები და მათი ოჯახები იმყოფებოდნენ.

რუსეთი

რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა, რომ რუსეთის მოქალაქე აპირებდა ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებას ხალხმრავალ ადგილას. მამაკაცი, რომელიც დაკავშირებულია სირიაში აქტიურ ტერორისტულ ჯგუფებთან, დააკავეს მოსკოვში.

სომალი

სომალიში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება. ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბაბი კი მის ჩაშლას აპირებს. ეს ტერორისტული დაჯგუფება ავრცელებს განცხადებებს, სადაც ისმის მუქარა მომავალი კანდიდატებისა და დელეგატების მიმართ.

ტანზანია

ტანზანიის ხელისუფლებამ ოპოზიციის წევრებზე ღამის რეიდი ჩაატარა. მათ დააკავეს ოპოზიციური პარტია - „ჩადემას" ლიდერ ფრიმან მბოვე. მას ტერორიზმის ბრალდების ასამართლებენ.

სირია

სირიის არმიამ ოპოზიციური რეგიონი - იდლიბი დაბომბა. ამ ოპერაციის შედეგად 7 სამოქალაქო პირი დაიღუპა, ამათან 3 ბავშვი.